სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
80100906950521

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N211384527

რეგისტრაციის თარიღი

13.12.2021 წ

ნოტარიუსი: შორენა გოგორიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2
ტელეფონი: +995 595 075225

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაერთი წლის ცამეტ დეკემბერს მე, ნოტარიუს შორენა გოგორიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2 მომმართა: შპს ,,სოლუმ პარტნიორი"-ს (ს/კ 400316680) დირექტორმა ლევან დევაძემ (თანახმად, ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი #B 21088128, მომზადების თარიღი: 01/09/2021 14:59:55, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ზ. მირაქიშვილის 29 , საიდენტიფიკაციო კოდი # 400316680) რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ლევან დევაძემ (დაბ.30.05.1975წ. რეგისტრირებული მისამართზე: **თბილისი ტყეკულტურის III შეს. N 7** პ/ნ 01030015659) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მისი სიტყვებით აღნიშნული მინდობილობა, რომელიც ჩავიწერე ტექნიკური საშუალების გამოყენებით. განვუმარტე ამ მინდობილობის შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ამ განმარტებათა მოსმენის შემდეგ ნონა გულორდავამ ჩემი თანდასწრებით პირადად წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა და განაცხადა, რომ ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. მან პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას

მინდობილობა

მე, შპს ,,სოლუმ პარტნიორი"-ს (ს/კ 400316680) დირექტორმა ლევან დევაძემ პ/ნ 01030015659, შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი ", ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ მარიამ ეფრემიძეს (დაბ.17.08.1991წ. პ/ნ 01008050596) ან/და მარი ზანდარაშვილს (დაბ.20.05.1994წ. პ/ნ 01024082987) შემდგომში – "მინდობილ პირებს"

მინდობილი პირები უფლებამოსილნი არიან იყვნენ მიმნდობის წარმომადგენლები საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, იყვნენ ჩემი წარმომადგენლები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ასევე ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარების ყველა სამსახურში, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი (GWP), შპს „თბილსერვის ჯგუფი", შპს „ტავ ჯორჯია", შპს „ტავურბან საქართველო", შპს „თბილისი ენერჯი".

მინდობილი პირები უფლებამოსილნი არიან იყვნენ მიმნდობის წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიაში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში და ქ.თბილისის საკრებულოში, ქ.თბილისის ურბანული განვითარების სამსახურში, შეასრულონ ყველა მოქმედება რაც დაკავშირებულია შპს ,,სოლუმ პარტნიორი"-ს (ს/კ 400316680) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (რომლის ს/კ 01.18.13.020.063) განაშენიანების გეგმის (გრგ)შეთანხმებასთან, გრგს ცვლილებასთან დაკავშირებით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასტან და მის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოადგინოს (მათ შორის ელექტრონულად ატვირთოს) ნებისმიერი განცხადება და დოკუმენტაცია, გასცეს თანხმობა, შეათანხმოს სატრანსპორტო სქემები და კვლევები, იყოს მიმნდობის წარმომადგენელი გარემოს დაცვის სამსახურში.

მინდობილი პირები უფლებამოსილნი არიან იყვნენ მიმნდობის წარმომადგენლები საკომუნიკაციო და კომუნალური მომსახურების (ელექტრო ენერგია, ტელეფონი, გაზი, წყალი, საკანალიზაციო სისტემები) კომპანიებში და მიმნდობის სახელით ხელი მოაწეროს ყველა დოკუმენტაციას, რაც საჭირო გახდება ზემო აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილი პირები უფლებამოსილნი არიან გააკეთონ განაცხადი, გამოითხოვონ დოკუმენტები და მოაწერონ ხელი ყველა საჭირო დოკუმენტაციას და განახორციელონ ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში მაგრამ აუცილებელია მიმნდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ნდობილი პირები უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ მიმნდობი, როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, დანარჩენი გადაეცა მხარეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 ლარი (`სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მუხლი 31 პ.7-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 12 ლარი.

ლევან დევაძე ლევან დევაძე

საქართველოს ნოტარიუსი